ა(ა)იპ ,,ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი"- ს მიერ ხორციელდება "სამედიცინო ლაბორატორიული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების" პროექტი, რომელიც დაფინანსებულია USAID - ის სამოქალაქო ჩართულობის პროექტის ფარგლებში.

მიმდინარე წლის 13 მაისს, დაგეგმილია პროექტის დამაგვირგვინებელი/შემაჯამებელი შეხვედრის ორგანიზება.

**დაინტერესებულ პირებს ვიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

- თარიღი - 13 მაისი
- საორიენტაციო დრო და ხანგრძლივობა - 11.00 დან 16.00 საათამდე

## მოთხოვნები:

- საკონფერენციო დარბაზი - 70 პირზე, წყობა თეატრალური
- ტექნიკური უზრუნველყოფა - პროექტორი, ეკრანი, 3 უკაბელო მიკროფონი
- დამატებითი ინფორმაცია: ღონისძიების ხანგრძლივობა შესაძლებელია მცირედით დაკორექტირდეს, კერძოდ ხანგრძლივობა შემცირდეს.
- გამასპინძლება და კვებით მომსახურება:
    - გთხოვთ თქვენს შემოთავაზებაში წარმოადგინოთ ყავით გამასპინძლების (შეხვედრის დაწყებამდე) და ლანჩის მენიუ (ფურშეტი) ცალ-ცალკე 3 ცალკეულ ვარიანტად: მინიმალური პაკეტი, საშუალო პაკეტი, მაქსიმალური პაკეტი

## ზოგადი პირობები:

- ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს წინადადება წინამდებარე სატენდერო წესებით განსაზღვრული პირობების მიხედვით.
- დამკვეთის მხრიდან სატენდერო წინადადების შერჩევა განპირობებული იქნება გამოცდილების, კვალიფიკაციის, ხარისხის, ფასის ან სხვა რომელიმე კრიტერიუმის საფუძველზე.
- ტენდერის დასრულების თარიღის გასვლის შემდეგ, დამკვეთი არაა ვალდებული მიღებულ სატენდერო წინადადებაზე აწარმოოს მოლაპარაკება პრეტენდენტთან.
- სატენდერო წინადადება არ წარმოადგენს დაკვეთის შეთანხმებას ან ოფიციალური შეკვეთის ფორმას, პრეტენდენტის მიერ წინადადების წარდგენა ნებაყოფლობითია.
- სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ ის გაეცნო ტენდერის ყველა მოთხოვნას და ვალდებულია დაიცვას ყველა ეს პირობა, დამკვეთის მხრიდან სატენდერო წინადადების მიღების შემთხვევაში.
- სატენდერო წინადადების მომზადებასთან და წარდგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება პრეტენდენტს, მიუხედავად იმისა მიღებული იქნება თუ არა ეს წინადადება დამკვეთის მხრიდან.
- სატენდერო წინადადება იგზავნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, თანდართული დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ.
- გთხოვთ, მიუთითოთ საკონტაქტო პირი, მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომელიც უფლებამოსილი იქნება მოლაპარაკებების წარმოებაზე ტენდერში მონაწილის მხრიდან.
- დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე: kalandarishvili.nino.lab@gmail.com

## სატენდერო წინადადების წარდგენა:

- სატენდერო წინადადება წარდგენილი უნდა იქნას წინამდებარე მოთხოვნის გათვალისწინებით:
- სატენდერო წინადადების წარდგენის (მიღების) ბოლო ვადაა: 2024 წლის 30 აპრილი, 18:00 საათი.
- წინადადებები გაგზავნილი უნდა იქნას შემდეგ ელ. ფოსტაზე:
    - hchrrc@ymail.com **და** kalandarishvili.nino.lab@gmail.com

## სატენდერო წინადადების ფორმატი

პრეტენდენტების მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგი ფორმატით:

### *ზოგადი ინფორმაცია*

- სასტუმროს შესახებ ინფორმაცია და ლოკაცია
- საკონფერენციო ოთახის შესახებ ინფორმაცია - წყობა და სხვა დეტალები;
- საკონფერენციო დარბაზის აღჭურვა პრეზენტაციის ჩასატარებლად საჭირო აპარატურით (პროექტორი, პროექტორის ეკრანი, მიკროფონები და ა.შ.);

### *კომერციული წინადადება*

- ერთეულის ფასი ეროვნულ ვალუტაში ერთ ადამიანზე, რომელიც მოიცავს როგორც კონფერენციაზე დასწრებას ასევე კვებით გამასპინძლებას.
- გთხოვთ, შემოთავაზებაში მიუთითოთ ერთეულის, ასევე მთლიანი ფასები ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს გარეშე. ასევე სიტყვიერად აღნიშნოთ, რომ ფასები არ მოიცავს დღგ-ს.
- გთხოვთ, მიუთითოთ შემოთავაზების მოქმედების ვადა (შემოთავაზება ძალაში უნდა დარჩეს განაცხადის წარდგენის ბოლო ვადიდან მინიმუმ 20 დღის განმავლობაში).
- სატენდერო წინადადებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული პირობა თუ როგორ იცვლება შემოთავაზებული ფასი დამსწრე პირთა რაოდენობის ცვლილების შემთვევაში;

## ხელშეკრულების გაფორმება

- შერჩეულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება ფორმდება სატენდერო პროცედურების დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში
- ფასთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით კონტრაქტი გაფორმდება ა(ა)იპ ,,ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი"- ის მიერ (საიდენტიფიკაციო კოდი 400060072)
- დამფინანსებელი ორგანიზაციაა USAID - სამოქალაქო ჩართულობის პროექტი და შესაბამისად პროექტის განთავისუფლებულია დღგ - ს გადასახადისგან. შესაბამისად გთხოვთ წინადადებები წარადგინოთ დღგ - გარეშე.